

საკუთრების უფლების შეზღუდვა საქართველოს საგადასახადო  
კანონმდებლობაში

ლანა გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით გელაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ლანა გელაშვილი. 06.07.2015

## აბსტრაქტი

სახელმწიფოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება უზრუნველყოს გადასახადების აკრეფა სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით, ამ მიზნით მას შეუძლია შეზღუდოს გადამხდელის საკუთრების უფლება. გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადები ბიუჯეტის შევსების ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, გარდაუვალია მან უარი თქვას თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

გადამხდელის საკუთრების უფლების შეზღუდვის სწორად განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ბიზნეს საქმიანობის ჯანსაღი და სახელმწიფოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. იგი, მეწარმე სუბიექტებისთვის, უნდა იყოს შემდგომი აქტივობების განხორციელებისთვის ბიძგის მიმცემი და არა პირიქით. ზემო აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფომ არაერთხელ დაადასტურა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლისთვის სამეწარმეო საქმიანობის განვითარების აუცილებლობა, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, საგადასახადო ორგანების მიერ განხორციელებული საკუთრების უფლების შემზღუდველი ქმედებების სისწორის და სამართლიანობის შესახებ საკითხმა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საგადასახადო, შეზღუდვა, საკუთრება, დღგ, ყადაღა

## **Abstract**

The state is authorized to ensure the collection of taxes by using various mechanisms. For this purpose it is also able to restrict the taxpayer's property right. Given the fact that the taxes are most effective means for fulfilling the budget, it is inevitable, it may refuse to exercise its authority.

Proper implementation of the restriction of the property rights of the taxpayer is crucial for sustainable development of state economy and business activities. It should be a stimulus to Business entities for the implementation of further activities and not the opposite. Taking into account the above and the fact that the government has confirmed the necessity of business development for country's economic development and progress, the question about the correctness of and fairness of actions restricting the right to property implemented by the tax authorities has become particularly acute.

**Key words: Tax, Restriction, Property, VAT, Seizure**